# გაუფასურების ტესტი

## განმარტებები, ინდიკატორები და ბენეფიტები

+995 (32) 2 000 123
www.moore-georgia.ge

### რას წარმოადგენს გაუფასურება?

ძირითადი საშუალებების გაუფასურება წარმოადგენს, მათი სამართლიანი ღირებულებების მკვეთრ (მყისიერ) შემცირებას, რაც თავის მხრივ შესაძლოა გამოწვეული იყოს ფიზიკური დაზიანებების შედეგად, კანონმდებლობაში შეტანილი ცვილილებების გამო, ბაზარზე და ეკონომიკაში განვითარბული მოვლენებიდან გამომდინარე, მენეჯმენტის შეცდომების, ტექნიკური ხარვეზებისა და შფერხებების შედეგად და ა.შ. ძირითადი საშუალებების გაუფასურების შემთხვევაში კომპანიებმა უნდა გადააფასონ მათი საბალანსო ღირებულებები და აღიარონ ზარალი მოგება/ზარალის უწყისში.

გაუფასურება შეიძლება განიცადოს როგორც მატერიალურმა ისე არამატერიალურმა აქტივებმა. მატერიალურ აქტივებს წარმოადგენს უძრავი ქონება, მოძრავი ქონება - მანქანა დანადგარები, ავეჯი, მოწყობილობები და სხვა, ხოლო არამატერიალური აქტივები არის გუდვილი, ნებართვები, ლიცენზიები და სხვა.

IAS 36 - ის მიხედვით, იურიდიულმა პირებმა, ბალანსის შედგენის თარიღისათვის უნდა განიხილონ გაუფასურების ინდიკატორები და განახორციელონ გაუფასურებაზე ტესტირება, თუკი ინდიკატორები აღნიშნულის საჭიროებაზე მიგვითითებენ.

### გარე ინდიკატორები

- მყისიერი ეკონომიკური და იურიდიული ცვლილებები რაც მოქმედებს კომპანიის ეკონომიკურ საქმიანობაზე;
- ბაზარზე აქტივების ფასების მიშვნელოვანი შემცირება ტექნოლოგიური განვითარების ან სხვა ფაქტორების გამო;
- მაკროეკონომიკული ფაქტორების გამო აქტივებზე მოთხოვნის შემცირება და ა.შ.;

### შიდა ინდიკატორები

- აქტივი იურიდიულ პირს  ფუნქციურად უმოქმედო მდგომარეობაში აქვს;
- აქტივი ფიზიკურად მოძველებულ ან/და დაზიანებულ მდგომარეობაშია;
- აქტივს არ მოაქვს იმ ოდენობით შემოსავალი რაც დაგეგმილი იყო მენეჯმენტის მიერ;
- შერწყმის შედეგად სინერგიული ბენეფიტების მიღების შეუძლებლობა;

### გაუფასურება და ამორტიზაცია

მიუხედავად იმისა, რომ ორივე ტერმინი შეიძლება მსგავსი ჩანდეს, გაუფასურება თავის მხრივ  არის აქტივის ღირებულების უეცარი და შეუქცევადი დაქვეითება, მაგალითად: მანქანას ავარია ან უეცარი დაზიანება, ხოლო ამორტიზაციად ითვლება, აქტივის საბალანსო ღირებულების სისტემური(გეგმიურ) შემცირება.

### გაუფასურებაზე ტესტირების ბენეფიტები

- გაუფასურებაზე ტესტირება აძლევს ინვესტორებს საშუალებას შეფასონ კომპანია და მისი მინეჯმეტი სხვადასხვა კრიტერიუმებით. მენეჯერებმა რომლებმაც ჩამოწერეს აქტივები გაუფასურების გამო შესაძლოა მიიღეს არასწორი გადაწყვეტილებები;
- გაუფასურებაზე ტესტირება საშუალებას აძლევს იურიდიულ პირებს სწორად გადაიხანდონ ქონების გადასახადი;
- მეტწილად ბიზნესის წარუმატებლობა დაკავშირებულია აქტივების გაუფასურებაზე. დროული ტესტირება ინვესტორებს და კრედიტორებს აძლევს გამაფრთხილებელ, სიგნალებს და ეხმარება მათ სწორ გადაწყვეტილებებში;
- გაუფასურებაზე ტესტირება საშუალებას იძლევა სწორად დავიანგარიშოთ და დავითვალოთ ამონაგები ინვესტირებულ კაპიტალზე (ROCE);
- აღნიშნული სერვისი ეხმარება ბიზნეს, განახორციელოს ფონდების დარეზერვება აქტივების შეცვლისათვის. ცვეთაზე დაფუძნებული აქტივის ისტორიულ ღირებულებამ შესაძლოა გვაჩვენოს “გაბერილი“ მოგება და გამოიწვიოს ჭარბი დივიდენდების გაცემა;
- ტესტირება საშუალებას აძლევს იურიდიულ პირებს ფინანსურ ანგარიშგებაში აქტივები საბაზრო ღირებულებით ასახონ. უძრავი ქონების შემთხვევაში ბალანსზე ასახული ქონების (საბალანსო) ღირებულებები მეტწილად რადიკალურად განსხვავდება მათ რეალური საბაზრო ღირებულებებისგან;
- კომპანიების შერწყმის ან შეძენის დროს აქტივების გაუფასურებაზე ტესტირება იძლევა საშუალებას სწორად განხორციელდეს ფასზე მოლაპარაკებები;
- სწორი შიდა და გარე რეკონსტრუქციებისათვის;
- სესხის აღების პროცესში აქტივების სწორი ღირებულების ცოდნა საშუალებას აძლევს კომპანიებს აიღონ უფრო მეტი მოცულობის სესხი და ასევე დაიზღვიონ თავი საკრედიტო რისკებისაგან;

### ჩვენს შესახებ

MOORE abc არის ერთ-ერთ ლიდერ კომპანიას ქვეყანაში, რომელიც 2008 წლიდან ეწევა მომსახურებას საბუღალტრო და საგადასახადო აღრიცხვა-ანგარიშგების, ქონების შეფასების, აუდიტის და დაკავშირებული პროფესიული მომსახურების სფეროში მთელი საქართველოს მასშტაბით.

**დამატებითი ინფორმაციისათვის, გაუფასურების ტესტირებაზე და სხვა საშემფასებლო მომსახურებებისათვის , გთხოვთ დაგვიკავშირდეთ.**